

ჟოჰელ დღე ორშაბათს გარდა

ფრთხი

ცალკე ნომერი ღირს შაშრათი

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, შანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლის — 8 მან., ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან., ერთის თვისა — 1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებასა: ცხელი ასობით ასობზე — 1 კაპ., ასობით ასობით სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის ციციროთი — 5 კაპ., პატრა — 4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ჯვართ-ამაღლების დღესასწაული-სა გამოსხვალ, ხუთშაბათს, გაზეთი ვერ გამოსვ.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდავ

(„საეკავის“ კორრესპონდენტის)

ჰარაბალი, 10 სექტემბერს. მომქმედ კორპუსის შტაბის უფროსი ლენერალ-მაიორი ლუხვაცკა, ავთომყოფობის გამო, დაეთხოვა სამსახურიდამ და იმის ადგილას დანიშნულა ლენ.-მაიორი ბუჩინი. ჩვენი და ოსმალის ჯიჩი ერთსა და იმავე მდგომარეობაში და ადგილზე დგანან. მუდამ ახალი ჯარები მოგედის აქ. ჯარი ჯანმთელად არის. ამინდიც კარგია. ჩვენებმა მალე წინ უნდა გაიწიონ.

გორნი სტუდენი, 11 სექტემბერს.

ბრძოლა სერკოვნესთან (პლენენასთან) ამნაერად მოხდა: 9-ს, დილის 11 საათზე, 20,000 ოსმალის ჯარი 40 ზარბაზნით მოადგა ჩვენს პოზიციას, რომელიც 12 ბატალიონსეჭირა; ჯერ მარჯვნივ დაეცნენ ლენერალ ბარშკოვს, აქ ჩვენებმა 30 ნაბიჯზე მოუშვეს მტერი და შემდეგ დაუშინეს ტყვია და უკან დააბრუნეს. 200 ოსმალის გვამი ბრძოლის ველზე დარჩა. შემდეგ მარცხნივ მოადგნენ ოსმალოები, მაგრამ აქედამაც უკუ-ვაქციეთ. ამავე დროს მეორე ჯარი მტრისა შუაგულ ჩვენს პოზიციას მოადგა, მაგრამ აქაც იძულებული შეიქნა, დილის ზიანით, უკან დაბრუნებულიყო.

სალამის 8 საათზე მტერმა ყველა ალაგებიდამ უკან დაიწია.

10-ს, დილით, ოსმალოებმა გამოგზავნეს პარლამენტორი და გეთხოვეს, რომ მკვდრების დამარხვის ნება მიგვეცა. ჩვენის თვალის წინ დამარხეს 800 კაცი; სულ იმათის მხრით 2,000 კაცამდინ არის დაჭრილი და მოკლული. ჩვენ კი 6 აფიცერი მოგვიკლეს და 60 სალდათი, დაჭრილი არიან: 20 აფიცერი და 300 სალდათი. ჩვენი ჯარის უფროსად ლენ. ტატისჩევი იყო.

რაგუზა, 10 სექტემბერს. სერბია ჯერ-ჯერობით არ გაერევა ამ რუქ-ოსმალის ბრძოლაში.

პარიში, 11 სექტემბერს. ამბობენ, რომ თ. ბისმარკისა და გრ. ანდრასჩის ერთმანეთის ნახვამ და მოლაპარაკებამ უფრო დაამკვიდრა ბერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის მეგობრული კავშირი. მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე ბისმარკისა და ანდრასჩის შუა სჯა არ ყოფილა.

აქ გადაიცივალა გამოჩენილი ვარსკვლავთ-მრიცხველი ლევერიე.

ღმის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდავ

სტამბოლელი კორრესპონდენტი მენის გაზეთის „Politische Correspondenz“-ისა შემდეგ ამბავს იწერება ოსმალის ხალხის ჰაზრის შესახებ ახლანდელს ომიანობაზედ („Голосъ“, № 207):

„ღმედინ ოსმალეთის ხალხს მეროპისაკენ ეჭირა თვალი; ის მოელოდა, რომ მეროპა არ მისცემს რუსეთს ნებას, რომ ეს სახელმწიფო ჩაყლაპოს და მოსპოს დედამიწაზედაო.“

„ღმეს კი საზოგადო ჰაზრი შეეცვალა. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ, სტამბოლში, მუდამ დღე მოდის ხოლმე მეროპისა და აზიის ბრძოლის ველიდამ ამბავი ოსმალის ჯარის გამარჯვებაზედ; მუდამ დღე ტელეგრაფები აცნობებენ ხალხს, რომ მუხთარ-ფაშა მცირე აზიაში იმარჯვებსო, ოსმან-ფაშა, სულეიმან-ფაშა და მეჰმედ-ალი-ფაშა მეროპაშიო, რუსები უკან იწევენო და სხვ. და სხვ.“

„ამ გარემოების წყალობით, როგორც ზევით მოგახსენეთ, ოსმალოები ახლა მეროპისაგან შევლას აღარ მოელოან; ისინი ამბობენ, რომ რუსეთს მარტო ჩვენც გაუძლებთო. ღმეს ოსმალოები იმას თხოულობენ, რომ მხოლოდ მეროპის რომელიმე სახელმწიფო ნუ გაერევა ამ ბრძოლაში, ნუ მოეხმარება რუსეთსა და ჩვენ ვიცით და რუსეთმარო.“

ბუხარესტიდამ „მოსკოვის უწყებებში“ იწერებინან, რომ შეეჭეთ-ფაშა, რომელიც სოხუმის ოსმალის ჯარის უფროსად

იყო, ამ ქაშაღათაის ჯარით შუმლაში მოვიდაო.

„Journal de Genève“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება:

„აქაური სომხები თითქმის ნანობენ ახლა, რომ ასე აშკარად გადაუდგნენ იონი თავის მმართველობას მცირე აზიაში და ყოველ შემთხვევაში ლალატობდნენ იმასა. მსენი ამბობენ ახლა: განა უკეთესი არ იქნებოდაო ჩვენთვის, რომ ამ ომში არ გველაღატა ოსმალეთისათვის, პირ-და-პირ, პირ-უთნელად იმის მხარე დაგვეჭირაო იმ პირობით, რომ, ომის გათავების შემდეგ, მთავრობას უფრო მომეტებული თავისუფლება მოენიჭებინა ჩვენთვის?“

„მე არ ვიცი, ამ ჰაზრს რაიმე შედეგი ექნება, თუ არა, — მაგრამ მარტო ის გარემოებაც ყურადღების ღირსია, რომ ამ გვარი მოსახრება დატრიალობს ახლა სომხებში.“

„მოსკოვის უწყებებში“ (№ 222) გადამობეჭდილია საინტერესო კორრესპონდენცია ერთის მენის გაზეთიდან შესახებ შიხილ-თაფის ალებისა; ეს კორრესპონდენცია თფილისიდან 26 სექტემბერს არის გაგზავნილი; მოგვეყავს იქიდან ორიოდე ალაგი:

„რადგან მრევნიდამ ამბავი მოვიდა ალექსანდროპოლში, რომ იზმაილ-ფაშა დიდის ჯარით მოაწვა იგდირსაო, ამის გამომთავარ-სარდლის განკარგულებით ლენ. ღვეელი ერთის დივიზიით გაგზავნეს ლენ. ტერ-ლუკასოვის დასახმარებელად. ეს ამბავი, რასაკვირველია, იმ წამსვე აცნობეს მუხთარ-ფაშას.“

„მუხთარ-ფაშამ იცოდა აგრეთვე ისიც რომ შიხილ-თაფის მთა რუქებს ერთობ სუსტათ ჰქონდათ გამაგრებული. 12 აგვისტომდინ აქ იყო მხოლოდ ორი ბატალიონი ქვეითა ჯარი და ერთიც ღალესტინის პოლკის ცხენოსანი მართალია, 12-ს ბრძანება გამოსცა ლენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვმა, რომ ერთი ბატალიონიც კიდევ წასულიყო შიხილ-თაფაზე; მაგრამ ეს ბრძანება, რალაცა მიზეზით, შეუსრულებელი დარჩა.“

„12-ს ღამით ოსმალის ჯარი ჩუმით მოადგა შიხილ-თაფის მთას, ამ მთის ფერდზე და ძირში ღალესტინის ჯარი იყო დაბანაკებული ყარაულად. მშვენიერი ღამე იყო, ღვეები შესცქეროდნენ ამომავალ მთვარეს, მღეროდნენ თავის სახალ-



ხო ლექსებს, ტკბილ ოცნებაში იყვნენ, რანებდნენ თავის წასულ ბედნიერ დროს, ვაჟკაცობას, შამილს და სხვ...

„ამ დროს იმათ მოადგა მთაზე მსმალოს ცხენოსანი ჯარი და ისე აიყვანა ყველა ეს ღალატელები ტყვედ, რომ ერთი თოფიც არ გავარდნილა. ამბობენ, რომ ამათ იცნეს თავის ჩინებული იმამის შამილის შვილი შაზი-მაჰომა და არ ესროლეს თოფით; ამას ამბობენ, მაგრამ ნამდვილად ამას მხოლოდ გამოაჩენს. მსმალოს ცხენოსანი ჯარს უკან მოჰყვა ქვევითა და ერთის საათის განმავლობაში მთელი ეს შიზილ-ტაფის მთა მსმალოებისაგან იყო დაჭერილი.“

მდესსელი კორრესპონდენტი „პეტერბურდის-უწყებებისა“ იწერება, რომ სოხუმში მსმალეებმა მხოლოდ ორი სახელი დასტოვეს მთელი, დანარჩენი სულ გადასწვეს და დაანგრისეს.

მეროპის ბრძოლის შედეგად

მსმალეთის მთავრობისაგან ოფიციალურად გამოცხადებულის ანგარიშით, მეროპის ბრძოლის ველზე მსმალეთს ჰყავს ამ ჟამად.

მეჰმედ-ალი-ფაშას (რუსიუკისაკენ) — 130,000 კაცი, ჰრინცს ჰასანს (მგვიტეს ჯარი) (ღობრუჯეში) — 20,000, ახმედ-მიუბ-ფაშას — 20,000 (მდ. იანტრისაკენ), მსმან-ფაშას (პლენენაში) 80,000, სულეიმან-ფაშას (ბალკანის იქით — შიპკოსთან) — 94,000 და ნიშის ჯარი — 20,000, — სულ 364,000.

მს ოფიციალურ ციფრებია. „ჰენევის ჰურნალი“ ამბობს, რომ ეს ციფრები გაზვიადებული არისო, ნამდვილი რიცხვი ამ ჯარისა ეს არისო:

მეჰმედ-ალი-ფაშას, ამ გაზეთის სიტყვით, ჰყავს — 90,000 კაცი, მგვიტეს ჯარი — 12,000, მეუბ-ფაშას — 14,000, მსმან ფაშას — 50,000, სულეიმანს — 75,000 და ნიშის — 10,000, სულ 251,000 კაცი.

ჰენის გაზეთის „Deutsche Zeitung“-ის სიტყვით, ახლად მოსულს რუსის გვარდიის ჯარს ბრძანება მოსვლია, რომ მღვენოსაკენ გაემგზავრონ.

მსვე გაზეთი ამბობს, რომ აქაურმა რუსეთის სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინაო, რომ ჯარისათვის საერთო ტანსაცმლის დაამზადონო.

ბუხარესტელი კორრესპონდენტი „მოსკოვის უწყებებისა“ იწერება, რომ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში პლენენასთან რუსების მხრით 300 აფიცურია მოკლული და დაჭრილი და 12,500 სალდათიო. ამას გარდა რუმინის ჯარში

60 აფიცური და 3,000 სალდათი არიან მოკლულ-დაჭრილნი. ამავე გაზეთის სიტყვით, რუსის სამხედრო მთავრობა ძალიან კმაყოფილია რუმინის ჯარის მხნეობითა.

ნემეცური გაზეთი „Viener Tagblatt“ ამბობს, რომ რუსის არმიაში მყოფს ინგლისის სამხედრო აგენტს პოლკოვნიკს შელსლენის თავის მთავრობისაგან მიწოდებული ჰქონდა შეეტყო — თუ რა ჰაზრის არის რუსეთი მორიგებაზედაო. როცა ამ საგანზე ინგლისის სამხედრო წარმომადგენელმა ჩამოავლო ლაპარაკი რუსეთის იმპერატორთან და მთავრობასთან, ამათ ორთავემ ერთნაირად უპასუხესო, რომ მორიგებაზე ლაპარაკი, სანამ რუსეთი თავის მიზანს არ შეასრულებს, უღრვოდ და უალაგოდ მიგვაჩნიაო.

ლონდონის გაზეთში „Standard“-ში 30 აგვისტოს შიპკოდან მოწერილი ტელეგრამა გვაცნობებს, რომ სულეიმან-ფაშამ შიპკოსთან ააშენა ისეთი სიმაგრეები, რომ სროლის დროს სალდათებს შეეძლოთ თავის შეფარება.

იგივე ლონდონის გაზეთი ამბობს, რომ 29 აგვისტოს შიპკოსთან რუსებმა საშინელი სროლა დაიწყეს, რომელიც შეაყენა მსმალოს არტილერიის მარჯვე სროლამაო. მსმალოს და რუსების ჯარები გაშორებული არიან ერთმანერთთან 300 (მეტრზე თითქმის ერთ ვერსზე). მეჰმედ-ალი-ფაშა არ არის კმაყოფილი, როგორც ისმის, რომ სულეიმან-ფაშა გაჩერებულია ბალკანების იქით მხარეზე და არ გადმოდის აქეთ მთავარ ჯართან შესაერთებელათ.

ამავე გაზეთში 2 სექტემბერს ბორნი სტუდენტიდამ მიღებული დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც გვაცნობებს, რომ ჩვენ, რუსები, ახლა პლენენასთან გაჩერებული ვართ, ახალ ჯარს მოველით რუსეთიდან და სანამ არ მრგვივა, მანამ ჩვენ ვეღარ მივალთ პლენენაზე ერთ-ერთ, მხოლოდ ზარბაზნებს უშენთო.

მსმან-ფაშაც, ამ გაზეთის სიტყვით, მეჰმედ-ალი-ფაშისა და სულეიმან-ფაშისაგან მოელის დახმარებას და მანამ კისიც გაჩერებულია.

ამნაირად გამარჯვება იმაზედ არის დამოკიდებული — თუ რომელ მხარეს უფრო მალე მოეშველება ახალი ჯარი.

სამართლები

დღიური

* * * „მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა პეტერბურდიდამ 7 ენკენისთვის მიღებული:

„მამოვიდა შმალესი ბრძანება, რომლის ძალითაც სამხედრო გიმნაზიების ყველა პანსიონერები, რომელნიც 1877 წლამდინ შესულან ამ გიმნაზიებში და თავის ხარჯით იყოფებიან, სახელმწიფო ხარჯით უნდა იყვნენ მიღებული.“

არ ვიცით, ეს განკარგულება ჩვენს სამხედრო გიმნაზიასაც შეეხება, თუ არა.

* * * მვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად ძალაქის ზოგიერთს უბნებში თვალის ავთამყოფობა არის გავრცელებულიო; განსაკუთრებით ყმაწვილები ხდებიან ხშირად ავთაო. პატრონებს ყმაწვილები ნათელულში მიჰყავთ, თურმე წმ. ბარბარეს ეკლესიაში, იქ ღამეს ათევენ და ამით იმედოვნებენ თავიანთ ავთამყოფების მორჩენას, მაგრამ ესენი უფრო ავთ ხდებიანო. იქვე მიჰყავთ თურმე ყვავილითა და წითელათი ავთამყოფნიც; მაგრამ ამაოდ...

* * * ახალციხიდამ გეწერენ, რომ ამას წინათ ამ ქალაქში შემდეგი უბედური შემთხვევა მომხდარა: ერთს სახლში დედასა და შვილს ღამე როგორღაც ცეცხლი წაჰკიდებია; დედა მეორე დღესვე მომკვდარა, შვილი კი შეიძლება გადარჩესო, მაგრამ ჭკვიდამ შეიშლებო.

* * * ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში უფ. იაგორ ძალუმოვისაგან გამოცემული თავის საკუთარი ლექსები, რომლის ნახევარი შემოსავალი, როგორც წიგნის პირველ სათაურ ფურცელზე აწერია, „ძეკასიის პირუტყვების დამცველ საზოგადოების“ სასარგებლოდ არის დანიშნული.

„დროშის“ კორრესპონდენცია

ზამო-იმაერთი, 2 ენკენისთვის მიქვენს გაზეთში რამდენჯერმე იყო გამოცხადებული; თუ რა ამბავი ჩაიდინეს სოფლის მამასახლისებმა პირველი მილიციის შეკრებაზე და რამდენი ფული ააფუტქენეს მათ საწყად გლეხებს.

მსლა აკი გაუთენდათ ისევე აღდგომა! შეზღის უფროსებს მოუწიდათ მთავრობისაგან ბრძანება, რომ მსურველი მილიციონერები გამოიყვანეთო. შეზღის უფროსებმა დაიბარეს მამასახლისები და გამოუცხადეს ეს ამბავი მამასახლისებში

გაფრინდნენ სოფლებში. შეჰყარეს ხალხი და სოფლის ყრილობების დადგენით ხან ერთს აარჩევდნენ და ხან მეორეს და ბოლოს საქმე იმაზე დადგება, წილი იმას ხვდება, ვინც ბევრ ფულს ვერ მისცემს მამასახლისს.

მამასახლისებმა იქამდის მიიყვანეს გლეხები, რომ საჩივარი შეატანინეს ულუბერნატორთან.

ბრძანება მთავრობისა, როგორც მოგახსენებთ, მსურველებზე იყო; მაგრამ სოფლის მამასახლისები ბრძანებას უყურებენ?

შნოა რომ მამასახლისებს თავი აქვსთ გასული, მართლა ეს არასოდეს არ ყოფილა. ან კი როგორ არ გაუვათ თავი! მათ მოქმედებას ხომ არაინ იხილავს? მათ ხომ ანგარიში არაინ სთხოვენ?

მართი სიტყვით, თავის საზოგადოებაში პირველი სატრაპები არიან. როგორც უნდათ, ისე იქცევიან. შკოლას აკეთებს საზოგადოებას, იმის ჯიბეს ემატება; მასწავლებელს ჯამაგირს აძლევდნენ, მაგრამ არც ის რჩება უნაწილოთ; იასაულისა და მწერლისათვის აგროვებენ ფულს, მესამედი მისია; ჩხუბი ატყდა მსამალეთთან, იმათ ჯიბეს უფრო ფული მოემატა! მართი სიტყვით, სანამ სამწელიწადს გაათავებდეს, ყოჩაღათ ტრიპოლოზს და იგებს! ჯამაგირი არა აქვს, მაგრამ თავს არ იჩაგრავს მაინც.

რამდენათ შეწუხებულნი არიან გლეხები ახლანდელი მოხელეებისაგან, თქვენ შეიტყობთ ამ ქვემოთყვანილი ამბისაგან:

მართმა მამასახლისმა მოუყარა საზოგადოებას თავი და უთხრა: „ხალხნო! ხომ იცით—როგორ მოედო მუცელა და სხვა ავთამყოფობა საზოგადოებაში. შევადგინოთ „პრილოვარი“, რომ წამალი მოგვცეს მთავრობამ და ექიმი გამოგვიგზავნოს და თუ იმან ვერ შეიტანოს წამლის ფასი, ვინც იხმაროს, ყველამ გადავიხადოთ.“

ხალხმა ერთხმად შეჰყვირა: „რას ამბობ, კაცო! მოდიოთ და სული ამოგვაძვრეთ ბარემ და ის აჯობებს!“

X

საბაასო

უფალო რედაქტორო!

თქვენს გაზეთის მე-118 ნომერში არის ოპიონირდამ კორრესპონდენცია გლეხის სისონა ჩანჩალაძისა.

რადგან ეს კორრესპონდენტი ცილს მეწამება და საქმის გარემოებას მრუდეთ აჩვენებს მით ჩემს მოქმედებას ცრუ მჭარს აძლევს, ამისათვის გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ, ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივოებულს გაზეთში.

საქმე აი რაში მდგომარეობს:

პორესპონდენტი ჩანჩალაძე ამბობს: „ჩვენ გლეხებს რიგიანი მუშაობა გვქონდაო პრავიანტის გარდატან-გარდმოტანით;“ მაგრამ, მისი აზრით, მე ეს ხელობა ამელოს და სამი აბაზი ქირა ექვს შაურად და აბაზათ გამეხადოს; მათი „რიგიანი ქირის“ მოსასპობელათ.

ეს რომ სიცრუეა და მარტო კორრესპონდენტის ფანტაზია და არც სამი აბაზი ქირა, რაც მე დავინიშნე სამტრედიაში, არაოდეს არ ყოფილა ერთი ფუთი პრავიანტის გარდატანისათვის ოსურგეთში, ამას დაინახავს მკითხველი ქვემოთ აღწერილი საქმის გარემოებისაგან:

წარსულ მაისის თვეში ოცით ინტენდენტსტოდან იყო დანიშნული საკუთარი მინდობილობის ჩინოვნიკი, რადგან სამტრედიაში პრავიანტი ბევრი იყო დატოვებული და ოსურგეთში ჯარებს საკმაროდ არ ქონდათ და ურემები ერთი ცოტა ქირის და მეორე თავიანთ ყანის სამუშევრისა არ იყო. რაცა ის ჩინოვნიკი ჩემზე უფროს ნაჩაღნიკების განკარგულებით მოიქცა ჩემთან და განმიცხადა, რომ ორ აბაზს მისცემს ფუთზე სამტრედიადან ოსურგეთამდის, მე მივსწერე ახლობელ მამასახლისებს და ჩემს ნაცნობს მებატონეებს განეცხადებიათ სოფლებში ეს ქირა;—ამის გამო იმოდენი ურემი მოდიოდა იმ ცოტა ხნის განმავლობაში, რომ ვახტრები და აგენტები ვერ ასწრებდნენ ურემების დატვირთვას და ანგარიშის შეტყობას. ხსენებულ ინტენდენტის ჩინოვნიკი, შეასრულა თუ არა თავისი მინდობილობა, წავიდა.

რაიცა შემენება მე, არა თუ რაიმე დაბრკოლება მიმეცეს მეურმე გლეხთათვის, არამედ ჩემის მხრით ვაძლევდი ამ შემწეობას, რამ მრავალს მათგანს ვეუბნებოდი, ვის რამოდენი ფუთი და გირვანქა ედვა ურემზე (ყოველ ტომარას ეწერა რამოდენი იყო მასში) და ისე ითხოვდნენ და იღებდნენ თავის ხვედრს ქირას (ფუთზე 40 კაპ. და არა 60), ასე რომ თითოეულ მეურმეს თითო მგზავრობაზედ ათი მანეთიდგან ოცდახუთ მანეთამდი რჩებოდა, — ამაზედ დამემოწმებიათ და კიდევ იტყვიან ამას თავის დროზედ ქულაშის, მწრის, ჯაგნის და სხვა მახლობელი საზოგადოებანი. პატივცემულს ჩანჩალაძეს არ ქონდა სიმართლე ეს ლაძღვა და საყვედური ჩემზედ ეთქვა, არამედ იმ პირებზედ, რომელნიც აგზავნიდნენ პრავიანტს, ატენვდრენ მეურმებს აუწონავათ ოცი ფუთიდან ორმოცამდის და ეუბნებოდნენ ნაკლებს, რომლის გამო სიტყვით 30 კაპ. და საქმით 20 კაპ. არ მოსდიოდა საწყალს გლეხებს.

აი რაშიდ მდგომარეობდა საქმე: მაგრამ ნამეტანი შორს საქმის გამჭრეტი კორრესპონდენტი, ჩემდა სამწუხაროდ, ახლოს ვერ ხვდავს. მეორე ნახევარს თავის კორრესპონდენციაში ამბობს:

„პირველს აგვისტოს თვეს ერთს ჩემს მეზობელს ოფუტურისა წაელაპარაკა ვილაღ ლეჟავა. ამან დასცა ხანჯალი ოფუტურისა გულში და ზურგში თავი ამოაყოფია. ზაფაქციეთ კაცა სამტრედიაში, პრისტაეთან, ეგებ რამე გვიშველოსთქო: მაგრამ მეტი არაა თქვენი მტერი, თავი ამასაც საშველათ ჰქონდა თურმე: ჩაეცეცხლად მას და მის მწერალს, აეტეხათ ჩხუბი გლეხებთან და მედუქნებთან და მრთელ სამტრედიაში სულ „ვაი დედაო“ ძახილი იყო, როგორც გაგზავნილმა კაცმა გვიამბო.“

მეც ისეთი სიცრუეა, ქალაქის ბულვარის ქორიკანაობის მსგავსი, რომ მე ძრიელ მიკვირს—რა ინტერესისათვის ვაძლევდნენ იმას ამ გვარად მოიცრუოს მკითხველთ წინაშე; მაგრამ აქილამ უფრო ცხადათ სჩანს ჩვენის კორრესპონდენტის ზნეობითი ღირსების ნაკლებობა:

საიდან შეეძლო ჩემს მწერალს ჩხუბის გამართვა პირველს აგვისტოს, როდესაც ის იმ რიცხვში და წინა რიცხვებშიდაც სენაკში იყო და არა სამტრედიაში? ჩხუბი მოუხდა ჩემს მწერალს ოთხს აგვისტოს და არა პირველს. მე, როგორც ადგილობრივმა პოლიციამ, ის მონაწილეობა მივადლე, რომელსაც მოითხოვდა ჩემი თანამდებობა მშვიდობიანობის დასადგენათ; რამოდენათ მე უწესოებაშიდ ჩავდიოდი ოდესმე ან იმ დღეს და მით საჩივარი ადგილი ჩემთან დახმული თუ იყო მომჩივანთათვის და არა თუ „ჩაცეცხლა“ არამედ სადილისთვისაც თუ მოცლა მქონდა, — ამას იტყვიან დროზე მრავალნი იმ პირთაგანი, როგორც სამტრედიაში მყოფნი ეგრეთვე სხვანი, რომელთათვის, ვითომ სასარგებლოდ, ასე სიცრუით ლაღადებს კორრესპონდენტი, და მკითხველი გაიგებს შემდეგის გარემოებისაგან:

პირველს აგვისტოს თვეს, დღით 11 საათზედ, ერთმა ეშალონის ოფიცერმა თვით სამტრედიის სტანციაშიდ მთავრობისაგან მიმემულის ფურცლით 35 ურემი მთხოვა, რომელიც იმ დღის ნაშუადღევს 3 საათზედ უნდა ჩამებარებინა 491 კაცის სალდათის ნივთების და ტყვია-წამლის წასაღებათ ხევის-წყლის სტანციაზედ (ოსურგეთის გზაზედ). მივიღე თუ არა ესრეთი მოთხოვნილობა, მე წავედი მახლობელ სოფლებში ურემის მოსაყვანათ. წარმოიდგინეთ, საქონლის ქირიც არ იყოს, რა საშიშროა ასე

